# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 44 ხუთშაბათი, 25 თებერვალი 1910 წ. № 44

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან შუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



პარასკევს, 26 თებერვალს, მოხდება დაკრძალვა ახლად გარდაცვალებულის

სტეფანე სიმონის ძის თურქიასი,

რასაც განსვენებულის ოჯახი ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ. (1—თავ.—1)

წარმოდგენა № 38. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 38.

პარასკევს, 29 თებერვალს, 1910 წელს

**ბენეფისი კ. მესხისა**

ვლ. ალექსი-მესხიშვილის და მთელი დასის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ახალი პიესები.

I

**ხალხის სიკეთე**

3 მოქმედებად თ. გერელლისა. თარგ. აბაკელიასი.

სოლონის როლს შეასრულებს ვლ. ალ.-მესხიშვილი ეზოპისა კ. მესხი.

II.

**სიკვდილი ნაპოლეონისა**

ერთ მოქმედებად, თარგ. აბაკელიასი.

ნაპოლეონის როლს შეასრულებს კ. მესხი.

ფასები ჩვეულებრივია. ✕ დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

წარმოდგენა 39 **ქართული თეატრი** წარმოდგენა 39

შაბათს, 27 თებერვალს, 1910 წ. ბენეფისი

**ნიკო გვარაძისა და სოსო ივანიძისა**

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: ლეონიდ ანდრეევის ცნობილი პიესა:

**დღენი ჩვენი ცხოვრებისა**

პიესა 4 მოქ. თარგ. ელიოზიშვილისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი, მ. ნებიერიძე, პ. შოთაძე; ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ანიძე, ი. გრიშაშვილი, ივანიძე, ნ. გვარაძე, ი. ქეიძე, დ. მგალობლიშვილი, ი. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი.

მოწაფეებს შესვლა არ შეუძლიანთ. რეჟისორი ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

ფასები ჩვეულებრივია.

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი

**მ. ა. გაჩეჩილაძე**

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის. ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:

(10—7) ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი

**ქუთაისში**

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ს. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—14)

**ისე ძნელი არ არის გაარჩიოთ**

კარგი პაპიროსები ცუდისაგან, როგორც ეს გვეჩვენება. გთხოვთ მხოლოდ შინჯოთ პაპიროსები ახალ თამბაქოს ფაბრიკის სავ. სახ.

**„ძმები სეილანოვები“**

**ზეფირი 25 ც. 15 კაპ. და 10 ც. 6 კაპ.**

**ვოსხოდი 10 ცალი 5 კაპ.**

**მარსი 20 ცალი 5 კაპ.**

რომ დარწმუნდეთ რომ ეს პაპიროსები ყველა ცნობილ პაპიროსებს სჯობია.

(15—ტ.—8)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

ვარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. **გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ს. **მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2\frac{1}{2}$ ს. თვალისა,

ბ. ა. **პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. **ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაცია და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—280)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და ბავშ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ. ... ხას. 1—2 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ[ვ]. და ელექტ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10\frac{1}{2}$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2\frac{1}{2}$—$3\frac{1}{2}$ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყო დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—118)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—67

**ექიმი** კბილისა **რომანიშვილი-დგებუაძისა**

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—25

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი**

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—125)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აზღონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—374)

**დ. ქარელში**

მედიცინის ფერშალი ლ. პ. ჯინორიძე

იღებს და ნახულობს ავადმყოფებს, უკეთებს ზოგიერთ ჭრილობებს (ოპერაციას), კანში შესასხამ წამლებს, მასაჟს, უცრის ყვავილს და ღებულობს ყოველ დღე საფერშლო საქმეს. (15—155—5)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში

**ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გმგუთის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—24

**ექიმი გ. მაგაკიანი**

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—105)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—108)

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი**

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6\frac{1}{2}$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—ვგ.—11)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მაღლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9\frac{1}{2}$-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოუჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12\frac{1}{2}$ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—13)

**ექიმი შ. მიქელაძე**

**იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—35)

**ცინკოგრაფია**

**ქართ. გამომცემელ ამხანაგობისა**

ამზადებს ცინკოგრაფიულ კლიშეებს. კლიშეებს ცინკოგრაფია ამზადებს სუფთად და დროზე. ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა. (3—ნ.—3)

**ქ. შ.** წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ხონის განყოფილების წევრთა წლიური კრება** დანიშნულია ამ წლის 7 მარტს ხონის ვაჟთა პროგიმნაზიაში, დილის 11 საათზე.

**განსახილველი საგნები:**

1. გასული წლის ანგარიშები.
2. მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა
3. გამგეობის ერთი წევრის არჩევა.
4. ახალ წევრთა მიღება და სხვა.

3—1


## დღიური

**შინაგანი მტერი.**

ყველაფერი ქართულ ეროვნების და პიროვნების მოსპობისაკენაა მიმართული. ამას რომ ვამბობდი, სახეში მქონდა ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა, ეროვნული თავისუფლების უქონლობა. მაგრამ ჩვენი ცხოვრების საშინელება მარტო აქედან არ წარმოსდგება.

უფრო უარესი ის არის, რომ ჩვენ თითქოს არა ვხედავთ განსაცდელს, აღარა ვგრძნობთ ტვირთს, რომელმაც უკვე მოგვიკვეთა მუხლები და ბრმებსავით მივყვებით ბედს, რომელიც უფსკრულისკენ მიგვაქანებს. მტერი—მტერია და თუმცა მონობა ძლიერის რგოლივით გარს გვარტყია და ყოველს ჩვენს კეთილს განზრახვას წინ ეღობება, მაგრამ ყველაფერს ამას ადვილად გავუმკლავდებოდით და სხვის ბატონობას მაინც გავლენას თუ არ გავაქარწყლებდით სრულიად, გავანახევრებდით მაინც, რომ ჩვენში იყოს მტკიცე ეროვნული თვითშეგნება.

საუბედუროდ, ეს არ არის და ჩვენი დღევანდელი ვითარების სასოწარკვეთილება გამოიხატება იმაში, რომ ქართველი ერი ისპობა თვითონ ქართველი ერის შეგნებაში. მეტის-მეტად შესუსტდა ჩვენს შორის თვისტომობის გრძნობა, ჩვენი ეროვნული პიროვნება ჩვენთვის აღარ არის ნათელი, ეროვნული თავმოყვარეობა გაქრა და ეს პირველი და უმთავრესი ნიშანია ერის მოსპობისა, ვინაიდან ეროვნების აუცილებელი თვისება ისაა, რომ ერის წევრებს შეგნებული ჰქონდეთ თავიანთი ეროვნება. ტომი, განუვითარებელი ერთეული მაშინ ხდება ერად, განვითარებულ ერთეულად, როცა დაებადება ეს შეგნება, ამ შეგნებით განსხვავდება ერი ტომისაგან და როცა ეროვნება ჰკარგავს თვითშეგნებას, ეს გახრწნის, გადაგვარების მომასწავებელია.

ქართველებს რომ საღი ეროვნული შეგნება ჰქონდეთ, მტკიცედ იდგნენ იმ რწმენაზე, რომ ეროვნების გარეშე მიუწდომელია კულტურა, მაშინ შექმნიდნენ ისეთს სულიერს ეროვნულს წრეს, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა გარეგან ბოროტებას, ეროვნული ვინაობა არ დაიჩაგრებოდა ისე სასტიკად და შესაძლებელი იქნებოდა პიროვნების წარმოშობა და განვითარება, მიუხედავად გარეგანი დაბრკოლებისა. ამის ნაცვლად ოჯახში, საზოგადოებაში, კერძოობაში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მისწრაფებას ეროვნულ წრის მოსპობისადმი. რასაც გარეშენი გვაკლებენ, იმას შინაურები ამთავრებენ. ეროვნულ გრძნობას აღარსად რჩება კუნჭული. არ მოგვეპოვება არსად ადგილი, რომ ჩვენს ეროვნებას შეეძლოს თავისუფლად სულის მოთქმა. გარეშების დევნილს ჩვენ თვითონ არა ნაკლებ ვდევნით და ვაძლიერებთ იმ პირობებს, რომლებიც უარჰყოფენ ჩვენს არსებობას.

აღარსად არის ეროვნული წრე, ეროვნული სული, ატმოსფერა. დამონებულები სხვებიც არიან, მაგრამ ძლიერნი არიან ეროვნული სულით, ეროვნული საზოგადოებით, ოჯახით. იქ ეროვნებას ასპარეზი აქვს გამოსაჩენად, სავარჯიშოდ, ეროვნულ პიროვნებას ნიადაგი აღმოსაცენებლად. ჩვენში?

ქართული ოჯახი კარგა ხანია აღარ არსებობს. ოჯახი არ უნერგავს შვილს სამშობლო ენის სიყვარულს, არ ასწავლის ამ ენას, ამ ენის ნაწარმოებს; შვილი არა ხედავს ოჯახში არავითარ სიმტკიცეს და მთლიანობას, ზრეობრივ პრინციპებს, ეროვნულ თავმოყვარეობას. საკუთარ ოჯახში იგივეა, რაც სხვის, უცხოს სკოლაში, ერთი მეორის გაგრძელება და ცამატებაა. არც სკოლაშია ქართველობა, არც ოჯახში. იქაც და აქაც რაღაც გამოურკვეველი სახეა, რომელიც არც თავისას ჰგავს, არც სხვისას, იქაც და აქაც ურწმუნობაა—რის რწმენა უნდა იყოს, რომ არაფერს თავისი სახე აღარ აქვს—ურწმუნობაა და უხასიათობა... ამგვარ პირობებში იბადებიან ადამიანები, რომლებიც თვითონ ნება მოკლებულნი ვერარას შექმნიან და სხვის მასალად თუ გამოდგებიან.

ქართული საზოგადოება თითებზე ჩამოსათვლელია. რომელიც არის, მოკლებულია ქართულს სულსა და გულს. ყველგან გარყვნილება შეგვაქვს თვითონ ქართველებს. ზოგი ჩვენი საზოგადოება სავსებით იმას ემსახურება, რომ საკუთარი ეროვნება დააუძლუროს და ხელი შეუწყოს მჩაგვრელების გამაგრებას, მათი განათლების გავრცელებას. არ ვიცით, რა უნდა გვიყვარდეს, რა უნდა გვძულდეს. ეროვნული გრძნობა არა გვაქვს თან დაყოლილი და შეზრდილი. თეატრი მიგვაჩნდა ქართველობას წმინდა დამცველად, მაგრამ იქაც შეიპარა გამათახსირებელი სული ჯერ ფარულის სახით, მაგრამ მალე ალბად აღარაფერი ექნება მოსარიდებელი. რუსულმა პიესებმა, ჩვენთვის ყოვლად შეუფერებელმა, მოიკალათეს ქართულ თეატრში და გაჟღენთეს ჰაერი რუსულობით, რომელიც ისედაც არ აკლია. რუსულად მოლაპარაკე ქართველი მწერლები საჯაროდ ჰგოდებენ, რომ ჩვენს ქალაქებში არ ვითარდება რუსული ხელოვნება. ქართველი მსახიობის ოცნებაა თავის გვარის რუსულად გამოჭიმვა აფიშაზე; ქართულ საზოგადოებაში ქართული ლაპარაკი ყურს ეუცხოვება.

კერძოობაში ბედნიერები ვართ, როცა მარტოდ ვრჩებით და აღარავინ გვყავს თვალყურის მდევნელი და ანგარიშის მომთხოვნელი. ქართველობას საქვეყნოდ ცოტათი ანგარიშს ვუწევდით, ახლაკი მარცხენა კუთხეში მივაგდებთ და თავისუფლად მივეცემით ეროვნების უარყოფის ქეიფს. ვინ გვხედავს, ვინ გვისაყვედურებს? თავისუფლება, თავისუფლება არარაობისა! თავისუფლება უსახობისა, უპიროვნობისა, უქმობისა! აი, ჩვენი დროშა კერძოობაში.

ყველგან ერთი და იგივეა. არავითარი ეროვნული გრძნობა, არავითარი ეროვნული შეგნება. არსად ეროვნული პიროვნება, მტკიცე ინდივიდობა, თავის ვინაობის დაცვა. არსად არ მოგვეპოვება ადგილი, სადაც დატანჯულს ეროვნებას შეეძლოს დასვენება, წელში გამართვა. ვერსად ვერ გამოგვიჩენია იმდენი ძალა—ვერც ოჯახში, ვერც საზოგადოებაში, ვერც კერძოობაში, რომ ერს მოეპოვებოდეს რაიმე თავშესაფერი. ქარიშხალია, ყინვა, ქარბუქი, საშინელი წვიმა—ასეთ დროს ეროვნებას უნდა ჰქონდეს თბილი კუნჭული თავის შვილების გულში, რომ თავი დააღწიოს განსაცდელს, გადარჩეს ჭირსა და უბედურებას.

გარედ თუ მტერია მდევნელი, შინ მაინც უნდა იყოს მოყვარე კეთილი და გულშემატკივარი; გარედ თუ მონობაა, შინ მაინც უნდა იყოს თავისუფლება; გარედ თუ ღალატია, შინ მაინც უნდა იყოს ერთგულობა, სიმტკიცე, რწმენა!

მაგრამ ვაი, რომ ჩვენ არც ერთი არ მოგვეპოვება შინ და გარედან დევნილს ჩვენს ეროვნებას ჩვენთან ცივი გულის მეტი არა დახვდებარა, უგნურობასა და შეუგნებლობას მეტი არა მიეგებებარა წინ და საკუთარის შვილის ღალატი უარესს გასაჭირს მოუმატებს, ვიდრე მტერი გარეგანი.

განა ამაზე უფრო საშინელი მდგომარეობა იქნება?!.. **სიტყვა.**

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**ფინანსთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.**

23 თებერვლის სხდომაზე სათათბირომ პირველად მიიღო ხარჯთ-აღრიცხვა ფინანსთა მინისტრის საზოგადო კანცელარიისა. გადადებული ყოფილა 501,750 მ., კომისიამ შეამცირა 9,337 მანეთით. სათათბირომ მიიღო აღრიცხვა კომისიის შემცირებით.

შემდეგ სათათბირომ განიხილა საიხელმწიფო ხაზინის ხარჯთ-აღრიცხვა. მომხსენებელმა **ეპისკოპოსმა** აღნიშნა ნაკლულევანებანი და ის, რომ მთავრობამ ბევრი წინადადება სათათბიროსი არ აასრულა. სხვათა შორის, სათათბიროს სურვილის თანახმად, მთავრობას გაუყიდნია კავკავის გზის 4000 აქცია, მაგრამ 2 მილიონი მანეთი უზარალნია. აღნიშნა მომხსენებელმა შემდეგიც: როგორც ვიცით, ოსმალეთისაგან რუსეთს კონტრიბუციის ფული ერგებოდა. ბოლგარიას კიდევ ოსმალეთის ფული ემართა. რუსეთმა ბოლგარიის ვალი კონტრიბუციაში გამოუზარა ოსმალეთს და ამ კომბინაციაში რუსეთს, მომხსენებლის სიტყვით, ათი მილიონი მანეთი უზარალნია. ხარჯთ-აღრიცხვით ხაზინისთვის გადადებული ყოფილა 124,086,798 მან. ეს ფული უმთავრესად პენსიებზე მიდის. პენ-

სიები აწ მომქმედ კანონის თანახმად ინიშნება. მაგრამ მთავრობას ეს არ უკმარებია და 624 შემთხვევაში ხელმწიფისთვის უთხოვნია პენსიის დანიშვნა, მაშასადამე, ამ 624 კაცს თუ ქალს კანონით პენსია არ ეკუთვნოდათ. ხარჯთ-აღრიცხვაში კვლავ ყოფილა შეტანილი ის ხარჯი, რომლის მოსპობის საჭიროება სათათბირომ წინად უკვე აღნიშნა. ასეთია შემწეობანი სხვა და სხვა პირთა: 30 ათასი მანეთი—პრინცესსა მიურატს, 12 ათასი მანეთი—გოფმეისტერს ისტომინს და სხვა.

**ნეკრასოვმა** სათათბიროს ყურადღება მიაქცია კავკავის რკინის გზას. ეს გზა კერძოა, მთავრობას შეეძლო გამოესყიდნა, მაგრამ არ გამოისყიდა. საზოგადოდ, მთავრობის მოქმედების წყალობით ამ გზისაგან ხაზინას დიდი ზარალი აქვს.

**ფინანსთა მინისტრმა** ორივეს გასცა პასუხი, მომხსენებელსაც და ნეკრასოვსაც, მაგრამ არსებითად საგანს ნაკლებად შეეხო და უფრო საზოგადო ფრაზებით იცავდა ბიუჯეტს.

**ხაზინის ხარჯთ-აღრიცხვა** სათათბირომ კომისიის რედაქციით მიიღო.

შემდეგ **სათათბირომ** განიხილა ხარჯთ-აღრიცხვა პირდაპირ გადასახადთა დეპარტამენტისა. გადადებული ყოფილა 14,427,993 მან. კომისიას შეუმცირებია 350,000 მანეთით.

**კროპოტოვმა** აღნიშნა ის უსამართლოებანი, რომელნიც გადასახადების აკრეფის დროსა ხდება. ადმინისტრაცია აჯარიმებს სოფლის მოხელეებს, თუ მათ ხელად არ მოჰკრიფეს გადასახადებიო.

**იკონიკოვმა** აღნიშნა უსამართლობა გადასახადის ვაჭრის საქმეში. გადასახადი უფრო ღარიბ ხალხს აწევს კისერზე, ვიდრე შეძლებულს. ამაში უფრო სათათბიროა დამნაშავე: სამი წელიწადია სამინისტრომ შეიმუშავა კანონ-პროექტები გადასახადის სისტემის შეცვლის შესახებ, აგრეთვე შემოსავლის მიხედვით გადასახადის შესახებ, მაგრამ სათათბირო ერიდება იმის განხილვასო.

სათათბირომ მიიღო ხარჯთ-აღრიცხვა კომისიის რედაქციით.

უფრო მეტი კამათი გამოიწვია არა-პირდაპირ გადასახადთა მთავარ სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვამ. ამ ხარჯთ-აღრიცხვაში შედის არყის მონოპოლია. ხარჯთ-აღრიცხვის სამმართველოსთვის გადადებული ყოფილა 220,151,277 მ. კომისიას 7,087,637 მანეთით შეუმცირებია.

**შჩეპკინი** (კადეტი). სათათბირომ წინად სურვილი გამოსთქვა, რომ გაიაფდეს შაქარი. შაქრის გაიაფებას დიდი მნიშვნელობა აქვს ლოთობასთან ბრძოლაში. ყველა სახელმწიფოში ლოთობასთან ბრძოლის დროს უპირველესს ყურადღებას შაქრის გაიაფებას აქცევდნენ. ჩაი რომ გავრცელდეს, არყის სმა შემცირდება. შაქრის გაიაფება ხელს შეუწყობს მეფუტკრეობის გავრცელებას ჩრდილოეთ გუბერნიებში. იაფი რომ იყოს შაქარი, ფუტკრის საკვებად იხმარებდნენ. საჭიროა ბრძოლა შაქრის სინდიკატებთან. ლოთობაში ბრძოლაში საჭიროა კულტურის გავრცელება. ამაზე კი მთავრობა ნაკლებად ზრუნავს.

**პრედკალნი**. რადგან მონოპოლიის წყალობით მთავრობა ლოთობას ავრცელებს, ამიტომ ს.-დემოკრატების ფრაქცია ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მისცემს ხმას.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

24 თებერვალი.

საზღვარ-გარედ.

**სტამბოლი**. გაზეთები იუწყებიან, რომ ოსმალეთმა ერმსტრონგს ორი ჯავშნიანი გემი შეუკვეთაო.

**ვაშინგტონი**. კუკმა საზღვაო უწყების კომისიას უარი უთხრა, ვერ გამოგიგზავნით იმ საბუთებს, რომლებითაც მტკიცდება, რომ ჩრდილოეთის პოლიუსი აღმოვაჩინე, რადგან გამომცემელთან პირობით ვარ შეკრული და მარტო მას აქვს უფლება ამ საბუთებით ისარგებლოსო.

**ჰუჰენტაპიტრი**. სასიკვდილოდ დასაჯეს გვადელიუპის ახალშენების მთავარი მდივანი.

**ლონდონი**. დეპუტატთა პალატა. სამხედრო მინისტრმა განაცხადა: მთავრობას აზრად აქვს დაარსოს მუდმივი ჰაერში მფრენავი კორპუსი. სამხედრო უწყებას თავის განკარგულებაში აქვს დირიჟაბლი „ალდერშოტე". ვადგენთ დიდი დირიჟაბლის პროექტს. ეს დირიჟაბლი მხოლოდ ფლოტს უნდა უწევდეს სამსახურს. საფრანგეთში უკვე შევუკვეთეთ ორი პატარა დირიჟაბლი. სამხედრო სამინისტრო შემდეგშიაც ეცდება, რაც შეიძლება ბევრი დირიჟაბლი შეიძინოსო.

**პეკინი**. გაზეთები ბევრსა სწერენ დალაი-ლამის გაქცევასა და გადაყენებაზედ. გაზეთები დალაი-ლამის გადაყენებას ეროვნულის თვალსაზრისით უყურებენ. გაზეთების აზრით, დალაი-ლამა ყოველთვის ხელს უშლიდა მთავრობას ტიბეტის მართვა-გამგეობა ისე მოეწყო, როგორც ჩინეთის სხვა პროვინციებშია, რაიც ხელს შეუწყობდა ტიბეტის ჩინეთიდან უფრო მჭიდროდ დაკავშირებას. გაზეთები დალაი-ლამის სასარგებლო პეტიციებსაც ბეჭდავენ. ამას გარდა, გაზეთები ბეჭდავენ მღვდლების საჩივრებს, ტიბეტში ჩინეთის ჯარი შეუწყნარებლად იქცევაო.

**ვენეცია**. ტარნოვსკაიას საქმე. სასამართლოს დილის სხდომაზედ ილაპარაკა ნაუმოვმა. ნაუმოვმა სთქვა: როდესაც ტარნოვსკაია გავიცანი, არც კი ვიცოდი თუ ტარნოვსკაიამ პრილუკოვთან ერთად საზღვარ-გარედ იმოგზაურა. არც ის ვიცოდი, თუ ტარნოვსკაია კომაროვსკისთან ესე ძლიერ დაახლოვებული იყო. კომაროვსკი ტარნოვსკაიას თავის დანიშნულად სთვლიდა. ტარნოვსკაია მუდამ საშინლად მტანჯავდა. პაპიროსებს ჩემს ხელზედ აქრობდა, ხანჯლით მჩხვლეტავდა და სხვა. ხშირად ტარნოვსკაია მეხვეწებოდა, გამანთავისუფლე ქმრისაგან, დუელში გამოიწვიეო. რამდენიმე ხნის შემდეგ ტარნოვსკაიამ ამ აზრს თავი დაანება და მირჩევდა პირდაპირ მომეკლა კომაროვსკი. და მთხოვდა თუ დაგიჭირონ არამც და არამც არ გამცეო. მოკვლის გეგმა თვით ტარნოვსკაიამ შეადგინაო. მართლაც ნაუმოვმა მანამდის არ გასცა ტარნოვსკაია, სანამ გამომძიებელმა არ შეატყობინა, მკვლელობის მოთავენი დააპატიმრესო. წაიკითხეს ნაუმოვის წერილი. ნაუმოვი ამ წერილში ტარნოვსკაიას ატყობინებდა, ყველაფერს ჩემს თავზედ ვიღებო. თავმჯდომარის შეკითხვაზედ ნაუმოვმა განაცხადა, ტარნოვსკაიას გაცნობამდე სხვა ქალებთანაც ვყოფილვარ დაახლოვებული, მაგრამ ნამდვილად არც ერთი არა მყვარებია. თუმცა წინედ ღვინოს არა ვსვამდი, მაგრამ ტარნოვსკაიას გაცნობის შემდეგ ხშირად მიმიმართავს ღვინისთვის, რომ დარდები გამექარვებინაო.

**ბერლინი**. რეიხსტაგი. მიიღეს საზღვაო უწყების ხარჯთ-აღრიცხვა. რეიხსტაგმა უარჰყო სოციალ-დემოკრატების წინადადება, შესდგეს კომისია საზღვაო უწყებაში აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედების გამოსაძიებლად და კომისიის წევრებად სხვებთან ერთად რეიხსტაგის დეპუტატებიც დაინიშნონო.

**ვენა**. მთავრობამ დეპუტატთა პალატაში შეიტანა კანონ-პროექტი, რომლითაც სახელმწიფო ხაზინის გასაძლიერებლად უნდა გამოიშვას 182 მილიონის რენტა. „ნეიე-ფრეიე-პრესსა"-ს აზრით მთავრობა პირდაპირ ვერ ჰბედავს თქმას თორემ ამ ფულით სურს დაჰფაროს ის ხარჯი, რომელიც ბოსნია-ჰერცოგოვინის ანექსიის დროს მოუვიდა.

რ უ ს ე თ ი

**სევასტოპოლი**. დიდი ქარიშხალია. შავი ზღვის დასავლეთ ნაწილში დიდი ღელვაა.

**კიევი**. რამდენიმე ბოროტ-განმზრახველმა გერმანოვკასა და ვასილკოვის შუა ფოსტა გაძარცვა. წაიღეს 5400 მანეთი. ბოროტ-განმზრახველებმა მოჰკლეს ფოსტალიონი და მძიმედ დასჭრეს მეეტლე.

**ვოზნესენსკაია**. უკანასკნელ კვირის განმავლობაში საშინელი ქარიშხალი მძვინვარებდა. სულ ერთიანად გაიხრდა 40,000 დესეტინა ნათესი.

**მოსკოვი**. 22 თებერვალს გარდაიცვალა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი თავადი ნიკოლოზ სერგეის ძე ვოლკონსკი.

**პეტერბურგი**. სამოსამართლო პალატა შეუდგა გაბრეშკო-ბრეშკოვსკაიას და ჩაიკოვსკის საქმის გარჩევას. ბრალდებათ რევოლიუციონურ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება და ეხლანდელ წეს-წყობილების დამხობის და მის სამაგიეროდ დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარების მიზნად დასახვა. სასამართლოს სხდომებზედ დამცველებს გარდა არავის უშვებენ.

**პეტერბურგი**. საერო განათლების მინისტრმა დაამტკიცა წესდება გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში გადასაყვან ეგზამენების შესახებ. წესდებაში ჩამოთვლილია ის საგნები, რომლებშიაც უნდა გამოსცადონ მოწაფეები და ის კლასები, რომლის მოწაფეებიც მოვალენი არიან ეგზამენები ჩააბარონ ამ საგნებში. სრულებით არ გამოსცდიან იმ მოწაფეებს, რომლებიც ძალიან სუსტობენ და ამიტომ იმავ კლასში უნდა დარჩნენ, რომელშიაც იმყოფებიან. თუ მოწაფემ საპატივცემულო მიზეზების გამო, ეგზამენი თავის დროზედ არ ჩააბარა, მას შეუძლიან ეგზამენი კანიკულების შემდეგ ჩააბაროს. საოლქო მთავრობის ნებართვით შეიძლება ასეთი მოწაფეების გამოუცდელად მეორე კლასში გადაყვანა, თუ ეს უკანასკნელნი წლის განმავლობაში კარგად სწავლობდნენ. საერო განათლების მინისტრმა სრულებით გააუქმა წინად გამოცემული დადგენილებანი გადასაყვან ეგზამენების შესახებ.

**ჰელსინგფორსი**. სეიმის სახელმწიფო კომისიაში აირჩიეს 4 სტაროფინი, 3 მლადოფინი, 3 შვეციის პარტიის წევრი, ორი აგრარი და 9 სოციალ-დემოკრატი. სხვა და სხვა კომისიების თავმჯდომარეებად აირჩიეს: ორი სტაროფინი, ორი მლადოფინი და 5 შვეციის პარტიის წევრი. სოციალ-დემოკრატებმა 3 ვიცე-პრედსედატელის ადგილი დაიჭირეს.

## ქუთაისის თავად-აზნაურთა კრება

21 თებერვალი.

პირველი საკითხი შეეხებოდა სახელმწიფო გადასახადებს. თავ. დავით ნიჟარაძემ ამცნო კრებას, რა შევიწროვებულია თ.-აზნაურობა იმ გარემოებით, რომ, პოლიციის უწეს-რიგობის გამო, ხშირად ერთხელ წვალებით გადახდილ ფულს მეორედ ახდევინებენ ხოლმე. თუ ვინმემ სთქვა, რომ ფული ბოქაულს უკვე მიღებული აქვსო, ეუბნებიან: „ბოქაულთან ჩვენ საქმე არა გვაქვს, თუ მიეცით მას ფული, ეს თქვენი პირადი მისადმი ნდობაა; შეგიძლიანთ სასამართლოს მიმართოთ, ჩვენ კი ფული ფულს მოგვეცითო". ამ მიზეზით გადასახადები ძალზე გაიზარდა. თავ. ნიჟარაძემ წინადადება შეიტანა, ითხოვოს კრებამ, რომ ეს ნედოიმკები თავ.-აზნაურობას გაუნაწილონ რამდენიმე წლით. კრებამ საჭიროდ სცნო შესაფერი შუამდგომლობა აღძრას ნამესტნიკის წინაშე.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ოქმი დეპუტატთა საკრებულოს სხდომისა იმ ვალის შესახებ, რომელიც აწევს სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობას. სხდომას დაუდგენია, ეს ვალი—131 ათასი მანეთი—დაიფაროს იმ 300,000 მანეთიდან, რომელიც თ.-აზნაურობამ უნდა მიიღოს საადგილ-მამულო ბანკიდან იმ პირობით, რომ ბანკმა გაანაღდოს ფული იმ 5½ პროც. საშუალებით, რომელიც თ.-აზნაურობას ეძლევა ყოველ-წლივ ბანკის წმინდა შემოსავლიდან.

მ. დარახველიძემ წინადადება შეიტანა, არჩეულ იქმნას კომისია, რომელმაც დაწვრილებით უნდა გაიცნოს გიმნაზიის შენობის აგების საქმე და გამოიკვლიოს, რა დასჭირდება შენობის დამთავრებას. ამის შემდეგ გადასწყდება საქმე. მცირე კამათის შემდეგ კრებამ მიიღო დარახველიძის წინადადება და აირჩია კომისიაში: მ. დარახველიძე, ალ. საყვარელიძე, თავ. ვარ. ერისთავი, თავ. გიორგი ჩიჩუა, კ. რ. გოცირიძე, თავ. ჯ. დადეშქელიანი და თავ. აფაქიძე. კომისიამ ორი დღის შემდეგ უნდა მოახსენოს კრებას საკრებულოს მიერ შედგენილი ანგარიში თავისი მოსაზრებით.

მთავრობის ქალთა გიმნაზიას თ.-აზნაურობისთვის უთხოვნია დახმარება. დეპ. საკრებულოს დაუდგენია, მისცეს 500 მან. გიმნაზიასშენობის ასაგებად. კამათის დროს, სხვათა შორის, კ. აბაშიძემ აღნიშნა, რომ ამ ფულის დაპირება უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენებს, რადგან ფული არ მოგვეპოვება და გინდაც რომ მოგვეპოვებოდეს, თითონ ჩვენა გვჭირდება გიმნაზიის მოსათავებლად და მოსაწყობადაო. კრებამ დაადგინა, ამ საკითხის გადაწყვეტა გადასდოს იმ დრომდე, ვიდრე არჩეული მოხსენებას წარუდგენდეს კრებას.

# პროფესორი ნ. მარრი უვიცობის სამსჯავროს წინაშე

(შემდეგი*)

„სულ ახალი ამბავია,—ამბობს ბ-ნი ჯან—ლი:—რომ წმ. გრიგოლს (IV ს.) მოენათლოს ნინოსაგან ბერძნების ღვდლების ხელით დანათლული ქართველები და იუსტინიანეს დროს მხოლოდ (VI ს.) აფხაზის ევფრატას მიერ გაქრისტიანებული აფხაზები". (გვ. 59.)

ამ ამოწერილ ალაგიდან მკითხველი იფიქრებს, რომ: 1. პრ. მარრი უარჰყოფს წმ. ნინოს მოღვაწეობას საქართველოში და 2. მან არ იცის, როდის მიიღეს აფხაზებმა ქრისტიანობა. ბ-ნ ჯან—ლს მარრის წიგნი რომ წაეკითხა, მე-165 გვერდზე აფხაზების შესახებ უთუოდ ნახავდა: „Наличіе абхазовъ въ арабской версіи могло бы установить какъ terminus a qvo VI-ой вѣкъ, когда при Юстиніанѣ I (527—565), они приняли христіанство" (Крещ.,). რაც შეეხებ წმ. ნინოს, პრ. მარრს ის მიაჩნია ისტორიულ პირად და აგრეთვე მისი მოღვაწეობა საქართველოში უტყუარ ფაქტად. (Приложеніе къ № 3 „Церк. Вѣд. дом." за 1907 годъ, გვ. 111). მხოლოდ პრ. მარრი უარჰყოფს იმ ლეგენდარულ ზედნაშენებს, რომელიც წმ. ნინოს პიროვნებასა და მის მოღვაწეობის ისტორიას საუკუნეთა განმავლობაში შეუძენია. „Онѣ (გადმოცემები) подлежатъ реально-исторической критикѣ, которая состоитъ не въ огульновъ отрицаніи цѣликомъ всего, въ чемъ сразу бросаются въ глаза легендарныя черты, новъ тщательномъ отбираніи жизненныхъ здоровыхъ зеренъ, хотя бы лишь крупицъ исторической правды изъ мусора, наслоившагося отъ времени и человѣческихъ измышленій. Въ наличной формулировкѣ грузинское преданіе напр., о крещеніи Грузіи св. Нинoю не можетъ быть принято прежде всего потому, что мы имѣемъ нѣсколько другихъ преданій, находящихся въ непримиримомъ противорѣчіи съ нимъ, исключающихъ его."*) (Прилож. къ № 3. Церк. Вѣд., стр. 110).

ბ-ნ ჯან—ლსა ჰგონია, რომ საქართველო ჩინურის კედლებით იყო შემოზღუდული და მეზობელ ხალხებთან არავითარი ერთობა არა ჰქონდა. ის დარწმუნებულია, წმ. ნინო მარტო საქართველოს ანათლებდა, სომხეთში არ გადავიდოდა; წმ. გრიგოლი სომხებს ნათლავდა, საქართველოში ვინ შემოვიდოდა. პირველმა მთელი საქართველო გაანათლა ერთბაშად და მეორემ—მთელი სომხეთი. ახალ მოძღვრების ასე სასწაულებრივი გავრცელება ეწინააღმდეგება მთელის მსოფლიოს განვითარების ისტორიას: კაცობრიობის წარსულ ისტორიის მეცნიერულ კვლევა-ძიებას ასეთი სასწაული ჯერ არსად არ აღმოუჩენია და რაღა წარსული, თვით მთელი ჩვენი დღევანდელი ცხოვრება განა ამისი ცოცხალი მაგალითი არ არის!

და კერძოთ, ამ საკითხის—სომხ-ქართველთა საეკლესიო ურთიერთობის შესახებ—ნუ თუ ბ-ნმა ჯან—მა არ იცის, რომ საქართველოს და სომხეთის ეკლესიებს შორის მე 6 საუკუნის გასულს განხეთქილება მოხდა? ნუ თუ თვითონ ეს ფაქტი, ეს განხეთქილება, იმას არ მოწმობს, რომ წინად ერთობა ყოფილა მათ შორის? ამ საკითხის შესახებ დღეს იმდენი რამ ახალია გამოქვეყნებული და გამორკვეული, რომ მისი არ ცოდნა, ან არ ცოდნის სურვილი, ბ-ნ ჯან—ლს არ ეპატიება! დავანებოთ თავი სხვა გამოკვლევებს.

ბ-ნ ჯან—ლს პრ. მარრის ზემოხსენებული შრომა რომ ყურადღებით გადაეკითხა, წიგნის მე-154 გვერდზე ბევრ რასმე საგულისხმოს ნახავდა: ამოიკითხავდა, თუ რა პატივისცემით იხსენიებს საქართველოს ეკლესია წმ. გრიგოლის ხსოვნას.

საქართველოს ქათალიკოსი არსენი, მე-X საუკუნის მწერალი, უსაყვედურებს სომხებს, რადგან მათ დასტოვეს მცნება წმ. გრიგოლისი ჯერ კიდევ ქათალიკოს კირიონის დროს: „ვითარმედ წმიდამან გრიგოლი საბერძნეთით მოგუცა ჩუენ სარწმუნოებაჲ, რომელი თქუენ დაუტევეთ ალსარება მისი წმიდა და დაემორჩილენით აბდიშოს ასურთა და სხვათა ბოროტად მწვალებელთა". (თ. ჟორდანია, ქრონიკები 1, გვ. 319.) ერთს საგალობელში, რომელიც დაცულია მე-X ს. ხელნაწერში, ქართველები ევედრებიან წმ. გრიგოლს: „დამყარებულ ჰყავ ეკლესიაჲ ქრისტესი კლდესა მას უძლეველსა ღმრთისა ყოველთაჲსა სარწმუნოებითა." მეორე საგალობელში: „ვარსკულავო სომხითისაო გრიგოლი. მოგვკსენენ სამწყსონი შენნი წინაშე მაცხოვრისა და მოგვმადლე ჩუენ წყალობაჲ და მშვიდობაჲ მოჰფინე სოფელსა!" მაგრამ ბ-ნ ჯანა—ლს ხომ მთელი ნაწარმოების შინაარსი, მისი დედააზრი არ აინტერესებს, მისთვის სულ ცოტაც საკმაოა: ამოიჩემებს რამდენსამე ცალკე სიტყვას და უცებ გადასწყვეტს საკითხს!

როგორც მკითხველმა ზევით დაინახა, ბ-ნ ჯან—ს ჰგონებია, რომ არაბული ვერსია „ნაციონალისტურ აღათანგელიდან" არის თარგმნილი და გახარებული გაიძახის: „აღათანგელოსი კრინტსაც არა ზრავს გრიგოლის მიერ ქართველებისა და აფხაზების მოქცევის შესახებ" (გვ. 59). მერე, როდის სთქვა პრ. მარრმა, რომ აღათანგელის ისტორიაში (VIII ს.) მოთხრობილია რამე „წმ. გრიგოლის მიერ ქართველებისა და აფხაზების მოქცევის შესახებ?". აი, პრ. მარრის თარგმანი აღათანგელის იმ ალაგისა, რომელიც ბ-ნ ჯ—ს თავის წიგნის მე-60 გვერდზე შეცდომებით მოუყვანია: „и такимъ образомъ (св. Григорій) раскидывалъ и распространялъ дѣло проповѣди и благовѣщенія по всей армянской землѣ отъ края до края, отъ города Саталы до области Халтіи, до кларджовъ, вилоть до предѣловъ маскутовъ (греч. разночт.: и гунновъ), до аланскихъ вратъ, до каспійскихъ предѣловъ (греч. разночт.: вратъ)..." (Крещ., გვ. 175, შენიშვნა). პრ. მარრი ამ ალაგის შესახებ ამბობს, რომ ამ სიტყვების გაგება მხოლოდ ისე შეიძლება, ვითომც მარტო სომხეთზე იყოს ლაპარაკი (გვ. 175). პროფესორის აზრით, ტექსტის მოყვანილი ალაგი აღათანგელის ძველი (6—7 საუკ.) რედაქციის იმავე ალაგის შესწორებაა, რომელშიაც მართლაც იყო დაწერილი საქართველოსა და სხვა ზემოხსენებულ ქვეყნებში წმ. გრიგოლის მოღვაწეობის შესახებ, ხოლო არა პირდაპირ, არამედ წმ. ნინოს შუამდგომლობით. აქ პრ. მარრს მოჰყავს მოსე ქორენელის მოწმობა: ნეტარმა ნინომ საქართველოდან გამოუგზავნა წმ. გრიგოლს კაცები, შეეკითხა, თუ როგორ უნდა ემოქმედნა საქართველოში. წმ. გრიგოლმა უბრძანა, დაემსხვრია კერპები და აღემართა ჯვარი პატიოსანი. შემდეგ ქორენელი განაგრძობს: „Дерзаемъ сказать, Она, (т. е. св. Нина), ставъ апостоломъ проповѣдывала, начиная отъ Кхарчовъ (კლარჯეთი) близъ Аланскихъ воротъ и Касбовъ до предѣловъ Маскутовъ, какъ повѣствуетъ тебѣ Агафавгелъ". (Моисей Хоренскій: „Исторія Арменіи". Русскій пер. Эмина. Москва 1893 г., стр. 133.). პრ. მარრს ამ სიტყვებიდან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ აღათანგელის ძველს რომელსამე რედაქციაში ქორენელის მიერ ზემომოყვანილი სიტყვები წმ. ნინოს შესახებ ყოფილა და როდესაც „რედაქციამ" უკანასკნელი ნაციონალისტური სახე მიიღო, მაშინ წმ. ნინოს შესახებ თქმულება გამოსტოვეს, რასაც ისტორიულ გეოგრაფიის დამახინჯება მოჰყვა, ე. ი. საქართველოს ზოგიერთ ნაწილის სომხეთის ნაწილად აღიარება (ibid).

ბ-ნ ჯან—ლს პრ. მარრის ეს აზრი ნათლად რომ გაეგო, მაშინ არ დასჭირდება ამავ ალაგის ბ. ადონცის თარგმანის მოყვანა. ბ-ნ ჯ—ლს ტყუილად ჰგონია, რომ მარრის „ДО" და ადონცის „мимо" ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს **ამ შემთხვევაში**. თუ ბ-ნ ადონცის „мимо" იქმნა, ხომ გათავდა საქმე: „წმ. გრიგოლს, თუ მის მისიონერებს ფეხიც კი არ მიუკარებიათ არა თუ საქართველოსათვის, არამედ კლარჯეთისათვისაც: ამას წმ. გრიგოლის მიერი ქრისტიანობა ასცილებია (мимо Каларджіи გაუვლია" (გვ. 61). და განა პრ. მარრის „ДО"-ს შეჰყავს მისიონერები საქართველოში?!

რაც შეეხება ბ. ჯ—ლის შეკითხვას, მარრის „ДО" სჯობია, თუ ადონცის „мимо", ამაზე უნდა მოვახსენოთ, რომ სომხური „მინჩევ არ" უმჯობესია გადაითარგმნოს „ДО"-თი.

შემდეგი კითხვა, რომელია მართალია მარრის ხალტი, ადონცის ხალდი თუ ტექსტის ხალტი?—უაზროა: სომხურ „ლ" რუსულსა და სხვა ენებში ხშირად უდრის „ლ": „ქაღაქ"—ქალაქი, „ეღიშე"—ელისე, „პოღოს"—პავლე და სხვ. ბ-ნ ჯ-ლს, როგორც სომხურის „მცოდნეს", ეს მაინც უნდა სცოდნოდა! კიდევ ერთი კითხვა: „რომელი მართალია—მარრის მასკუტი, ადონცის მოსხი?!! თუ ტექსტის მასქუთ-ი?" (გვ. 61.) ბ-ნ ჯან—ლს ეს ალაგი ასე რომ მოეყვანა: „რომელი მართალია: ჩემი მასკუტი, ადონცის მოსხი?!! თუ ტექსტისა და პრ. მარრის „მასქუთ"-ი, ჩვენ არაფერს არ ვიტყოდით. სადაო სიტყვა პრ. მარრს რუსულის ასოებით აქვს მოყვანილი და „თ" და „ქ" გადმოცემული რუსული „т" და „к"; მხოლოდ თავზე მათ ნიშნები აზის, როგორც ეს საზოგადოთ მიღებულია. ბ-ნ ჯან—ლს ამ ასოებისათვის ნიშნები მოუცილებია და ამგვარად მის მიერ შეთხზული „მასკუტი" მარრისთვის მიუწერია!..

შემდეგ ბ. ჯ—ლი განაგრძობს: „მაგრამ „არაბულ ვერსიას" რომ ვუყურებ, იქ არც საქართველოა, არც აფხაზეთი, არამედ ჯურჯანი (=ჰირკანია, კასპიის ზღვის სამხრეთ ნაპირზე მდებარე გურგანი), დარუბანდ მხრის აბხაზ—პუსხუა—ყუბა და მერე ალანეთი (ჩრდ. დაღესტნის იქითი მხარე") (გვ. 59). ამ რიგად ის პრ. მარრს თარგმანს უწუნებს და მე-61 გვერდზე მოჰყავს ვერსიის თავისი თარგმანი.

მართალია, ჯურჯანი=გურგანი=ჰირკანია ეწოდება სპარსეთის ერთერთს ჩრდილოეთის ოლქს, რო-

*) იხ. „დროება" № 42.

*) ხაზი ჩვენია.

კრებამ ერთხმად მიიღო გუბერნიის მარშლის მოხსენება ერთი სტიპენდიის დაარსების შესახებ ქართულ გიმნაზიაში აკაკი წერეთლის სახელზე.

შემდეგ თავ. დავით ნიჟარაძემ მოახსენება კრებას თავისი მოსაზრება საარჩევნო ცენზის შემცირების შესახებ. მსხვილ მემამულეთა რიცხვი შემცირდა და დიდს უმრავლესობას, თავად-აზნაურებისას საარჩევნო ხმა აღარა აქვსო. კრებამ ეს წინადადება ტაშისკვრით მიიღო და დაადგინა, მიანდოს დეპუტატთა საკრებულოს, აღძრას შუამდგომლობა ცენზის შემცირების შესახებ.

საყურადღებო კამათი გამოიწვია აზნაურის ალტმულის განცხადებამ. იგი თხოულობდა ჩაწერილიყო ქუთაისის თ.-აზნაურთა სიაში. ამ შემთხვევით ისარგებლა თ-მა ჯ. დადეშქელიანმა და წინადადება შეიტანა, რომ სახელმწიფო სათათბიროს წევრი ე. გეგეჭკორი გამორიცხულიყო თავად-აზნაურთა სიიდან, რადგან მას, თ-დ დადეშქელიანის ცნობით, სახელმწიფო სათათბიროს ერთ კრებაზე განუცხადებია, სამარცხვინოდ ვთვლი, რომ თავ.-აზნაურთა წოდებას ვეკუთვნიო. თავ. დადეშქელიანის მიერ აღძრული საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა და თუ ჩვენ აღვნიშნოთ იგი, მარტო იმისთვის, რომ გვეჩვენებინა, რა მიმართულებით არის გამსჭვალული ის კრება, რომელიც თითქო აღტაცებით ეგებება ცენზის შემცირებას და თავ.-აზნაურთა კრების დემოკრატიზაციას. ალტმულის შესახებ, კრებამ, მცირე კამათის შემდეგ, როდესაც გამოირკვა, რომ კრება მაინც და მაინც დიდი მოწადინე არ არის თავის წრეში მიღებისა, გადასწყვიტა, ცნობები მოჰკრიფოს მთხოვნელის შესახებ და შემდეგ იქონიოს ამ საგანზე მსჯელობა.

მრავალთაგან გამოთქმული სურვილი, რომ დეპუტატთა საკრებულოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში, შემოწმებულ იქმნას საგანგებოდ არჩეულ კომისიის მიერ, განხორციელდა. თუმცა კომისიას თავის მოხსენების წარმოსადგენად მცირე ვადა მისცეს, მაგრამ იგი, ჩვენის აზრით, შესძლებს, ნათელი მოჰფინონ იმ საგანს, რომელიც აქამდის ჯანყითა და ბურუსით იყო მოცული, რომელიც ძალიან აინტერესებს საზოგადოების უდიდეს ნაწილს.

ამავე დღეს მეორე საკითხიც გამოირკვა. აქამდის არავინ იცოდა, ეყოლება თუ არა აწინდელ მარშალს, თ-დ წერეთელს, მეტოქე არჩევნებში, რადგან ერთად-ერთი შესაძლებელი კანდიდატი თ-დი დავით ნიჟარაძე სდუმდა. ეხლა, როგორც ნამდვილ წყაროებიდან გადმოგვცეს, თ-დ ნიჟარაძეს განუცხადებია სურვილი კენჭის ყრისა გუბერნიის მარშლობაზე. თ-დი ნიჟარაძე საკმაოდ ძლიერი კანდიდატია და რა-კი ყუთს იდგამს, ალბად იმედიცა აქვს არჩევისა. ეჭვი არ არის, თავ. წერეთლის მომხრეებიც დაირაზმებიან საბრძოლველად და გაიმართება ქუთათურთათვის სანატრელი კენჭობია.

**ნატალიაშვილი.**

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **საელექტრონო სადგური.** დღეს, 25 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე, პროფესორ არტემიევის თანადასწრებით, მოხდება შეერთებული სხდომა ტფ. ქალაქის გამგეობისა, ტეხნიკოსებისა და ზოგიერთ ხმოსნებისა. სხდომამ უნდა განიხილოს საკითხი ქალაქის საელექტრონო სადგურის აგების შესახებ. სადგურის ასაშენებლად გადადებულია ნახევარი მილიონი მანეთი. დღეს საღამოთი ქალაქის გამგეობაში მოწვეულნი არიან ხმოსნები, ტეხნიკოსები და სხვანი კერძო თათბირზე ამავე საგნის შესახებ. სხდომას პროფესორი არტემიევი წარუდგენს თავის მოხსენებას საელექტრონო სადგურის შესახებ.

✦ **ტელეფონი.** უკვე ვწერდით, რომ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას აზრადა აქვს ტფილისში ტელეფონის მავთულები მიწაში გაიყვანოს. რადგან ქვაფენილებისა და ქუჩების აყრა იქნება საჭირო, ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი სთხოვს ქალაქის გამგეობას აცნობოს, რა დაჯდება ერთ ოთხ-კუთხ საჟენ ქუჩის მოკირწვლა და ქვა-ფენილის შესწორება. უფროსი ამავე აზრით სთხოვს გამგეობას, მისცეს საჭირო ცნობები მექანიკოსებს კურამცევს და კრასოვსკის ქალაქის არხებისა და წყლის მილის მდებარეობის შესახებ.

✦ **მომხმარებელი საზოგადოება.** ჭიათურაში, ადგილობრივ ინტელიგენციის მეთაურობით, არსდება მომხმარებელი საზოგადოება „ჩვენი ოჯახი“. ინიციატორებმა უკვე მიიღეს დამტკიცებული წესდება და ახლო მომავალში მოქმედებასაც შეუდგებიან. საზოგადოება ეცდება მოუმარაგოს თავის წევრებს სხვა და სხვა საქონელი, რამდენადაც შესაძლებელია, იაფად [illegible] გებაში. საზოგადოებას ნება აქვს გამართოს [illegible] საზოგადოების [illegible] შეიძლება [illegible] წევრად [illegible] ჩევლად სქესისა ჭიათურასა და მახლობელ სოფლების მცხოვრებს. წევრმა კასაში უნდა შეიტანოს შესასვლელი გადასახადი 50 კაპ. და წლის ფული 10 მან.

✦ **სხდომა.** დღეს, 25 თებერვალს, საღამოთი მოხდება წ. კ. საზოგადოების მთავარ გამგეობის სხდომა მიმდინარე საქმეების განსახილველად.

✦ **ახალი კლუბი.** „ახალ კლუბის“ მამასახლისთა საბჭო შარშან შემოდგომაზე მხნედ შეუდგა საქმეს. ბინა უნდა დაექირავებინა სათავადაზნაურო ქარვასლაში, იქ სადაც „იუჟნე“-ბის რესტორანი იყო. მაგრამ აღმოჩნდნენ წინააღმდეგნი, რომელთაც ხსენებული სადგომი კლუბს არ დაუთმეს. ამათ არ ვიცით, რა განზრახვით, მაგრამ ხელი-კი შეუშალეს კლუბის დაარსებას. მოთხოვნილება-კი დიდი იყო და ყველა მოუთმენლად ელოდა კლუბის დაარსებას. ორი კვირის განმავლობაში მრავალი წევრი ჩაეწერა. საზოგადო კრებამდე დეკემბერში კლუბის წევრად სულ 60 კაცამდე ითვლებოდა. კრების დროს ჩაეწერა და ნამდვილ წევრებად მიღებულ იქმნა 200 კაცზე მეტი. კანდიდატებიანად ცოტა ხანში 310 კაცზე მეტი ჩაეწერა. საწევრო ფული განუწყვეტლივ შემოდიოდა და სულ მოკლე ხანში კლუბის კასაში 1168 მანეთი შევიდა. ეხლა კი დროებით შესწყდა წევრთა ფულის შეტანა და ახალ კანდიდატების ჩაწერა. [illegible] „კლუბ-მუტებში“ [illegible] შემდგომ [illegible] ობიექტს!..

✦ **ბალი.** ტფ. ქართულ გიმნაზიის სასარგებლოდ 22 თებერვალს ქ. ი. კ. ოქმანიშვილის მიერ გამართულ ბალს დიდძალი ხალხი დაესწრო. „რუსულის“ დარბაზი მშვენივრად იყო მორთული. დაესწრნენ ნამესტნიკის მეუღლე, ნამესტნიკის თანაშემწე, გუბერნატორი, მარშლები და სხვები. ცეკვა დილის 4 საათამდე გასტანა.

✦ 23 თებერვალს ქალაქში შემდეგი ამბები მოხდა. იზვოზნის ქუჩაზე უეცრად გადაიცვალა 65 წლის მოხუცი ქალი ქვრივი პრასკოვია ზარუტოვისა. შუაბაზარში დააპატიმრეს ნახიჩევანის მაზრის მცხოვრები ამბარცუმ მურადიანცი, რომელსაც დაჰბრალდა ცხენის მოპარვა. დაპატიმრებულმა პოლიციას განუცხადა, ცხენი ვიყიდე ისაია ბაღდასაროვისაგანაო. პუშკინის ქუჩაზე მალაკნის ქალს მარიამ ბოლოტინისას ამოეცალა არმაკ ბაბოტრიანცისთვის ჯიბიდან 50 მან. და ის იყო უნდა მიმალულიყო, რომ დააპატიმრეს: 21 თებერვალს ჩხრეკის დროს პოლიციის მეორე ნაწილში დააპატიმრეს 8 მათხოვარი. 22—23 თებერვალს გაჩხრიკეს რამდენიმე უბანი და დააპატიმრეს ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში 61 უპასპორტო კაცი.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ **შეკითხვა.** ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. ს. დ. წერეთელს შეკითხვა მიუცია მთავრობის გიმნაზიის დირექტორისათვის, მართალია თუ არა, ვითომ მასწავლებელს უსტინოვიჩს გერმანული ენის გაკვეთილზე ქართულ ენისთვის „პირუტყვების ენა“ ეწოდებინოს, და თუ მართალია, რა ზომები იქმნა მიღებული იმის წინააღმდეგ.

✦ **წყლისაყვანი.** როგორც გავიგეთ, ნამესტნიკის კანცელარიას კარგის დასკვნით წარუდგენია სამინისტროსათვის დასამტკიცებლად ქუთაისის ქალაქის საბჭოს მიერ მიღებული წყლისაყვანის პირობის პროექტი.

✦ **ქალაქის საბჭო.** 22 თებერვლისათვის დანიშნული ქალაქის საბჭოს სხდომა [illegible] ტრის თავის დასკვნა, სხვათა შორის—სათაურულ [illegible] ლის აღრიცხვაზე.

✦ **ინსპექტორი.** გამგეობის სანიტარულ ინსპექტორის თანამდებობაზე წარმოდგენილი [illegible] ჯაყელი.

✦ **საურთიერთო. კრედიტის საზ. თავმჯდომარე.** როგორც გადმოგვცეს, საურთიერთო კრედიტის საზოგადოების თავმჯდომარედ სურთ მიიწვიონ დ. ა. ლორთქიფანიძე.

# თეატრი და ხელოვნება

**ვ. გუნიას ბენეფისი.** დღეს, 25 თებერვალს, ქუთაისის თეატრში გაიმართება რეჟისორის ვ. ლ. გუნიას საბენეფისო წარმოდგენა. წარმოადგენენ მობენეფისის 4 მოქმედებიან კომედიას „ძალა აღმართსა ხნავს“ და ივ. გომართელის 2 მოქმედებიან ვოდევილს „დრამატიული საზოგადოების წევრს“. ქუთაისის საზოგადოებამ მდგომარე სეზონში ძალიან კარგად გაიცნო ვ. გუნია, რომელმაც დაუღალავის შრომით მშვენივრად დააყენა ადგილობრივი თეატრის საქმე და, როგორც რეჟისორმა და მსახიობმა, საზოგადოების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მადლიერი საზოგადოება ღირსეულად დააფასებს მობენეფისეს.

—

**ქუთაისი.** კიდევ „ანფისა“ ლეონიდ ანდრეევისა ქუთაისის სცენაზე, მხოლოდ ახლა ქართულად უმასპინძლდებიან საზოგადოებას ამ პიესით. ხან რუსულად, ხან ქართულად, ხან თეატრში, ხან სასამართლოში. ეს პიესა დ. ს. მესხმა გადასთარგმნა, ხოლო მსახიობმა დესპინე ივანიძის ასულმა თავის ბენეფისში დასდგა. მიუხედავათ იმისა, რომ მობენეფისე კარგი იყო მოხუცის დიდედას როლში, ასეთივე იყო ნ. ჩხეიძის ასული კოსტომაროვის ცოლის ალექსანდრას როლში, ლევითაშვილის ასულმაც—ანფისამ—ჩინებულად ჩატარა ზოგიერთი სცენა,—წარმოდგენას მაინც ნაკლები ანსამბლი ეტყობოდა. სუსტი იყო დ. ჩარკვიანი კოსტომაროვის როლში: ისეთი სარცხვი გრიმი გაეკეთებინა და ტანისამოსიც ისე „მოჩორთულად“ ეცვა, [illegible] არ იცოდა. ვერც ბ-ნი იმედაშვილი იყო მოხდენილი როზენტალი. ჩემის აზრით, ამ ორ მსახიობს რომ როლები შეეცვალათ, ბევრად უკეთესი იქნებოდა. ასათიანის ასულმა სუსტი სურათი მოგვცა ნინოჩკასი. ვგონებ უკეთესი იქნებოდა ამ როლში ანდრონიკაშვილის ასული. ზ. დადიანი ტატარინოვის როლში რომ თავის სახით არ გამოსულიყო, უკეთესი იქნებოდა. წარმოდგენას, სამწუხაროდ, იმდენი საზოგადოება არ დაესწრო, რამდენიც ეკადრებოდა ამ დამსახურებულ სცენის მუშაკს.

**ისარა.**

# ს პ ა რ ს ე თ ი

**შევკეთ-ფაშას დაპირება.**

„ბაქუ“-ს კორესპონდენტი იუწყება: სპარსეთის პარლამენტმა საიდუმლო კომისია აირჩია და სტამბოლში გაგზავნა ოსმალეთის სამხედრო მინისტრთან შევკეთ-ფაშასთან ზნეობრივ, ფიზიკურ და ქონებრივ დახმარების სათხოვნელად. შევკეთ-ფაშა მხოლოდ ზნეობრივ დახმარებას დაჰპირებია კომისიას“.

**სეპეხდარის თათბირი ინგლისის საელჩოს წარმომადგენელთან.**

22 თებერვალს ღამით სპარსეთის პირველ მინისტრ სეპეხდართან მივიდა ინგლისის საელჩოს დრაგომანი ჩერჩილი. იგი დიდხანს ესაუბრა სეპეხდარს და ისევ ჩუმად, დაბრუნდა თავის საელჩოში, რომ ვერავინ შენიშნა.

---

მელიც კასპის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა, მაგრამ რადა ჰგონია ბ. ჯ—ლს, რომ ეს პროფესორმა არ იცის? მე-199 გვ. აი რასა სწერს ის: „ჯურჯან обыкновенно Гурганъ, но здѣсь Грузія (ჯურჯანი—грузинъ)“. ახლა იკითხავს მკითხველი, რაზე ემყარება პრ. მარრი, როდესაც ამბობს, რომ „ჯურჯან“ აქ საქართველოს ნიშნავს და არა გურგან—ჰირკანიას? ჯერ ერთი, ტექსტში სამ ალაგას ნახმარია სიტყვა „ჯურზან“ (სირიული ფორმა), რომელიც საქართველოს ნიშნავს. ამას ბ-ნი ჯანაშვილიც არ უარჰყოფს, მხოლოდ სომხის ოინად მიაჩნია! მეორე: ვერსიის შინაარსით მოქმედება სწარმოებს სომხეთის დასავლეთ ნაწილში. საკმაო რუკაზე გადაათვალიეროთ ვერსიაში ნახსენები ქალაქები: ვალარსაპატი, დარანალიის ოლქი, თილი, დერზანი, არარატის მხარე, არტასატი და კესარია და სებასტია, შემოხაზოთ მთელი ეს არე-მარე და შემდეგ გადახედოთ ჰირკანიას, რომელიც ათას ვერსობით დარჩება მოწყვეტილი ზემოხსენებულ ქალაქებს; უკანასკნელნი კი მჭიდროდ ესაზღვრებიან საქართველოს. ცხადია, იბირ-ბ-ზ-ხუა, რომელიც წმ. გრიგოლმა ნახა სებასტიაში და თან წამოიყვანა, საქართველოს შვილი იყო და არა ჰირკანიისა. რად ავიწყდება ბ-ნ ჯან—ლს, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა ბიზანტიიდან კაპადუკიით შემოვიდა და ამის გამო, რასაკვირველია, დიდი კავშირი და დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთში?

აგრეთვე ბ-ნ ჯ—ი სრულიად ამაოდ სცდილობს უარჰყოს პრ. მარრის „იბირ-ბ-ზ-ხუა“-ს ეთიმოლოგია: „Ибир-б-з-хуа представляетъ форму мингрельской фамиліи въ сложеніи съ мингрельскимъ словомъ з-х-у-а, т. е. squa, что по-мингрельски значитъ сынъ“ (Крещ. 172 стр.) ბ-ნ ჯ—ლს ჰგონია, რომ საქართველოს დიდებას ბევრ რასმე შეჰმატებს, თუ იბირ-ბ-ზ-ხუა-ს არაქართველობა დაამტკიცა. იბირბზხუას ხომ წმ. გრიგოლი ჰგზავნის საქართველოში და რომ საქართველოსათვის დამამცირებელი და დამღუპველი საქმე როგორმე აგვაცდინოს, ყოველ ღონეს ხმარობს „იბირბზხუა“ სხვაგვარად ახსნას და იმდენად გატაცებულა, რომ სრულიად დაავიწყდა, თუ რა სწერია არაბულ ვერსიაში, იბირბზხუა მოლა-მოძღვრად (sic!) გამოაცხადა და ქრისტიანობის საქადაგებლად სკვითების ქვეყანაში (აფხაზეთში) გაგზავნა! რატომ აურდაურია ბ-ნმა ჯ—მა ვერსიის გარკვეული ცნობა? იმიტომ, რომ ტექსტში სრულიად არ იხედება და წინასწარ განზრახულ მიზნით შედგენილ გეგმას მისდევს! „აფხაზეთს გაიგზავნა სოფრონი“, ვკითხულობთ ტექსტში (Крещ., стр. 137 перев.) წარმოვიდგინოთ დროებით, რომ ბ-ნ ჯან—ლის ახსნა სიტყვის „აფხაზი“ მართალია. მაშინ ზემოხსენებული წინადადება უნდა შეიცვალოს ასე: „პუსხაში—პსხუაში“ გაიგზავნა სოფრონი“. ბ-ნი ჯ—ლი კი „პსუაში“ ჰგზავნის იბირ-ბ-ზხუას და სოფრონს მისიონერობა ჩამოართვა და სადღაც მიმალა. რად დასჭირდა ეს? იმისთვის, რომ „იბირბზხუას“ საკუთარი ეთიმოლოგია წარმოედგინა; არ დაინდო არც ისტორია, არც გეოგრაფია, არც ტექსტი, არც თავისი გურგან-ჰირკანია, ჩასჭიდა ხელი „იბირ-ბზხუასა“ და „პსხუას“ გარეგნულ შემთხვევით ერთ-ხმოვანებას და ამ სახით „იბირბზხუას“ „მეცნიერული“ ახსნაც მივიღეთ და, რაც უმთავრესია, საქართველოს პრ. მარრის მიერ წართმეული დიდებაც დაუბრუნდა! მაგრამ, ბ-ნო ჯ—ლო, ტექსტი?!

საქართველო ხომ ასე ადვილად მოიცილა. ბ-ნი ჯ—ლი ახლა აფხაზეთს (ლაზიკას) მიადგა. აფხაზეთი ამ ვერსიაში, მისი განმარტებით, უდრის ყუბას და მის არე-მარეს (გვ. 62), ან და, როდესაც „იბირ-ბ-ზხუას“ ეთიმოლოგიას არკვევდა, მაშინ იგივე აფხაზეთი „პასხა“, „პუსხა“ და „პსხუა“ იყო (გვ. 64). ჩვენ ზევით მოვიყვანეთ პრ. მარრის დასაბუთებული აზრი, თუ როგორ ესმის მას ვერსიაში დასახელებული სამის უმთავრესს ხალხის სახელწოდებანი. ჯანაშვილი საბუთების უქონლობისა გამო, უკბილო ოხუნჯობას იწყებს და და პრ. მარრის ახალ თეორიას ეპოტინება და დასცინის, თითქოს მარრი ისეთ შემთხვევებშიაც კი, როგორც ტექსტში დამახინჯებული საკუთარი სახელების შესწორებაა, რასაც ამა თუ იმ თეორიასთან არავითარი კავშირი არა აქვს, თავის „სამ-ასოიან ლინგვისტიურ თეორიის სასწაულმოქმედებას“ (ჯანაშ. სიტყვებია), მიმართავდეს და რაც უნდა „იმას ოშობინებდეს“. იქნება ბ-ნ ჯ—ლს ეს იუმორი ჰგონია.

ამასაც არა კმარობს ბ-ნი ჯანაშვილი და ხშირად აღმაშფოთებელ საქმეს სჩადის. ამისი მაგალითი მკითხველმა უკვე ბევრი იცის, ერთსაც ახლა იხილავს და ეჭვი არაა ქვემოდაც ბლომად იქნება.

საქმე ის არის, რომ ცნობილ მურავიოვს თავის წიგნში („Грузія и Арменія“, ტ.—II, გვ. 268—269), სხვათა შორის, აწერილი აქვს ნოქალაქევი და მისი ეკკლესია, რომელიც ნანგრევებშია დაცული და რომელსაც აქ უწოდებენ 40 მოწამეთა ეკკლესიას. მარჯვენა ექვთერში უჩვენებენ 40 პატარ-პატარა წრეს, სადაც ვითომ უნდა განისვენებდეს 40 სებასტიელი მოწამე. ადგილობრივი გადმოცემა ტეხურის ერთს უმშვენიერესს ნაწილს უწოდებს 40 მოწამეთა ტბას, ვითომ იქ უნდა ეწამებინოთ ისინი. მურავიოვი დასძენს, რომ ასეთ გადმოცემას უთუოდ რაიმე საფუძველი უნდა ჰქონდესო. ეს ალაგი მოყვანილი აქვს პრ. მარრს თავის გამოკვლევაში („Крещ.“, 172-3), და ამბობს, რომ ამ გადმოცემის ახსნა ადვილდება არაბული ვერსიის წყალობითაო. როგორც უკვე ვიცით, იქ ნათქვამია, რომ იბირ-ბზხუა ქ. სებასტიაში დაესწრო 40 მოწამის ნაშთების აღმოჩენას; მერე ის მიტროპოლიტად ნაკურთხი წმ. გრიგოლის მიერ გაიგზავნა საქართველოში და საფიქრებელია, რომ პირველი ეკკლესიები 40 სებასტიელ მოწამეთა სახელობაზე აღაშენს. შეიძლება, მარტვილის ტაძრის სახელწოდებასაც ამ გარემოებასთან ჰქონდეს კავშირი, მაგრამ მარტო ეს არ გვაძლევს საბუთს მარტვილი უთუოდ 40 სებას. მოწამ. ტაძრად აღვიაროთო. ბ-ნმა ჯ—შვილმა ნოქალაქევის ეკკლესიაზე ხმა არ ამოიღო, მურავიოვი არც კი უხსენებია, ჩააფრინდა მარტვილს, ვითომც მარრი იქ ეძებდეს 40 სებას. მოწ. ტაძარს (გვ. 64). სასაცილოა, რომ სატირელი არ იყოს, როდესაც ასეთი „კრიტიკოსი“ იმდენად კადნიერდება, რომ თავის წიგნს, სხვათა შორის, ასეთ ეპიგრაფს აწერს: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“!

ბ-ნ ჯ—ლს ალბად საქართველოს დამამცირებლად მიაჩნია ასეთ სახელწოდების ეკკლესიის არსებობა და ჩქარობს გადაიტანოს ის აზხაზ-დარუბანდისაკენ (გვ. 64). საბუთი, „Труды V Арх. Съѣзда“, (Т. I, стр. 83, 436). ყველაფერი კარგი, კიდევაც რომ იყოს იქ 40 სებ. მოწ. ეკკლესია, ეს გარემოება ასეთ ეკკლესიებს საქართველოში ვერ მოსპობს, მაგრამ ჩვენ ეჭვი გვებადება ბ-ნ ჯანაშვილისადმი და აი რატომ: დიდი გულმოდგინეობით ვეძებეთ ჯან. მიერ დასახელებული წიგნი, მაგრამ ასეთი ვერსად ვერ ვიპოვნეთ. ის არ იფიქროთ „Труды V Арх. Съѣзда въ Тифлисѣ“ არ იყოს; ასეთი წიგნი არის, მხოლოდ მას არც პირველი ტომი აწერია და არც მეორე (რადგან მხოლოდ ერთ წიგნად გამოვიდა 1887 წ.), და არც 438 გვერდს შეიცავს, შიგ სულ 411 გვერდია. რაც შეეხება 83 გვერდს, იქ ჩინურ კედლებზე კია ლაპარაკი, მაგრამ 40 სებ. მოწ. ეკკლესიის შესახებ არაფერი! ამ საიდუმლოებას ისევ ბ ჯანაშვილი თუ ახსნის, თორემ სხვა ვერავინ!

კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება ასეთი პირუთვნელი „კრიტიკისა“, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც კმარა. დანარჩენს სხვა ნაწარმოების გარჩევის დროს გავეცნობით.

მხოლოდ ორი საკითხი უნდა დავსვათ: პირველი—რით ხელმძღვანელობდა პრ. მარრი, როდესაც არაბული ლეგენდის ვერსია გამოიკვლია და გამოსცა? მკითხველმა ეს რამდენადმე უკვე იცის. დასასრულ მოვიყვანოთ თვით პრ. მარრის აზრს ამის შესახებ:... „Настоящая работа посвящена... арабскому тексту, привносящему въ вопросъ (о генетическомъ родствѣ историко-культурныхъ явленій Грузіи и Арменіи) довольно много любопытнаго и новаго матеріала. Это новое и любопытное представляется мнѣ, быть можетъ, въ черезъ заманчивомѣ свѣтѣ, такъ какъ оно идетъ на встрѣчу выдвинутой мною теоріи о генетическомъ родствѣ историко-культурныхъ явленій Грузіи и Арменіи въ большей степени, чѣмъ даже я могъ вообще предпологать. Особенно трудно было ждать такой подержки отъ доходящихъ до насъ памятниковъ, которые интересныя для насъ явленія обыкновенно трактуютъ съ той или иной позднейшей національной или національно-церковной точки зрѣнія, армянской, грузинской и греческой. Однако я не спѣшу исчерпывать памятникъ въ пользу моей теоріи. Не спѣшу, такъ-какъ историко-литературныя рамки, въ которыхъ издаваемая версія легко могла бы найти надлежащее мѣсто, пока еще не очерчены; ни армянская ни грузинская письменности не изучены для этого достаточно. Дѣйствительное историческое теченіе и той, и другой только начинаетъ слабо намѣчаться. Съ другой стороны, медлить обнародованіемъ памятника я не считалъ себя въ правѣ: онъ представляетъ интересъ для многихъ, участіе которыхъ въ изученіи арабской версіи можетъ содѣйствовать уясненію различныхъ деталей текста, быть можетъ, къ открытью особаго горизонта и тѣмъ дать цѣнный матеріалъ для полнаго и прочнаго освященія памятника въ связи съ теоріею о генетическомъ родствѣ армянской и грузинской жизни, въ данномъ случаѣ, церковной. Что въ концѣ концовъ для этой теоріи арабская версія мученичества имѣетъ какое то значеніе, это ясно и сейчасъ, вопросъ только въ томъ, какое именно? Какую сторону общей армяно-грузинской церковной жизни она освѣщаетъ? Взгляды какой эпохи церковнаго общенія грузинъ и армянъ она отражаетъ?

Этого предисловія, я думаю, достаточно, чтобы предворить, что излагаемое мною за текстомъ въ общихъ чертахъ мнѣніе имѣетъ пока лишь гипотетическое*) значеніе“ (Крещ., стр. 64—65). აი, ღირსეულის მკვლევარის მისი შესანიშნავი გამოკვლევისადმი ღირსეული წინასიტყვაობა!

მეორე—რით ხელმძღვანელობდა ბ-ნი ჯანაშვილი? რასაკვირველია, არა ზემო მოყვანილ წინასიტყვაობაში წამოყენებულ მრავალმხრივის საკითხებით და მათ მეცნიერულ გამოსარკვევლად თავისი წვლილის შეტანით. არა, ბ-ნი ჯ—ლი სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ წმ. გრიგოლს, რომელმაც სომხები გაანათლა, არ შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონოდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში, რადგან სომხისგან ქრისტიანობის მიღება საქართველოს დაამცირებაა. ამ წინდაწინვე შემუშავებულმა განზრახვამ ბ-ნი ჯან—ლი იმდენად დააბრმავა, რომ ბერძენი მისიონერი (წმ. გრიგოლი სომხების განმანათლებლად წოდებული) მაინც და მაინც სომხად გამოაცხადა და ამ მისივე ფანტაზიით შექმნილმა „საფრთხემ“ იქამდის მიიყვანა, რომ მთელი საქართველო მისი მიწა-წყლით, ეკლესია-მონასტრებით ასწია და ცხრა მთას იქით გადაკარგა!

აბა, ამ „საფრთხეს“ რომ არა, როდის იყო, რომ ბ-ნი ჯან—ლი ასე ადვილად ელეოდა საქართველოს. ელეოდა კი არა, არაბეთსა და სხვა ქვეყნებს საქართველოდ აცხადებდა.

მაგრამ ამაზე შემდეგ.

ი. ყიფშიძე, მუკ. ბერიძე.
პეტერბურგი.
(შემდეგი იქნება)

**გერმანელები სპარსეთში.**

ამ ჟამად მთელს სპარსეთს ხელახლად მოედო სიძულვილი რუსეთისადმი. გერმანელებმა მარჯვედ ისარგებლეს ეხლანდელ წამით და სპარსელების სიძულვილი რუსეთისადმი თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს. გერმანიის ბანკი მალე თავის განყოფილებას გახსნის თეირანში. ამას გარდა, სპარსეთის მთავრობა ბევრ სასარგებლო კონცესიას და მადნების შემუშავების უფლებას დაჰპირდა გერმანელ კაპიტალისტებს.

**ჯამაგირის გადახდა.**

მეჯლისმა დაადგინა, ფიდაების უფროსებს მუჯა-ადამს და მუა-უსსალთანეს 38 ათასი თუმანი მიეცეს დარჩენილ ჯამაგირის ანგარიშში და ამას იქით ეს მეთაურები თავიანთ ფიდაებით სულ დათხოვნილი იქმნენ სამსახურიდანაო.

ამას წინად ეს მეთაურები თავიანთ ფიდაებით შეიარაღებულები შევიდნენ მეჯლისში და დარჩენილ ჯამაგირის გადახდა მოითხოვეს.

**არეულობა შირაზში.**

შირაზიდან მეტად ამაღელვებელი ცნობები მოდის. იქ ლამის ნამდვილი შფოთი დაიწყოს. შირაზში მოქმედებენ შვილები ცნობილ რეაქციონერ კოვამისა, რომელიც ერთმა კონსტიტუციონალისტმა მოჰკლა ჯერ კიდევ პირველ კონსტიტუციის დროს. კოვამების ოჯახი მეტად გამრავლებული და მდიდარი ოჯახია და დიდი გავლენაც აქვს შირაზში. მთავრობა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია, რადგან ჯარი არა ჰყავს ამ არეულობის ჩასაქრობად. ვერც თუ საგენერალ გუბერნატორო კაცი უშოვია შირაზისთვის. პრინც ფერმან-ფერმას დანაშვნა უნდოდათ, მაგრამ მან ისეთი დიქტატორული უფლება მოითხოვა, რომ მთავრობამ ვერ გაბედა ასეთ უფლების მიცემა შიშით, ვაი თუ პრინც ფერმან-ფერმამ პირი იბრუნოს და კოვამებზე უარესი დღე დაგვაყენოსო, მით უმეტეს, რომ ფერმან-ფერმა ძველი რეჟიმის კაცია. კოვამებს მხარს აძლევენ შირაზის სამღვდელოება და ნაძირალა ხალხი. თავიანთ ბაირაღზე მათ დახატეს სურათი მამედ-ალი-შაჰისა და მოკლულ კოვამისა. ისინი აშკარად ქადაგებენ ომს ახალ წესწყობილებისა და ეხლანდელ მთავრობის წინააღმდეგ.

## ბალკანეთის საქმეები

**ავსტრიისა და რუსეთის ურთიერთობა.**

ბოლგარიის მეფე-ფერდინანდის დიდის ამბით მიღებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია დიპლომატთა წრეებში, მეტადრე ავსტრიისა და ოსმალეთის დიპლომატთა წრეებში. გერმანულ გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ"-ის ვენელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ავსტრიის მთავრობას სულაც ჭკუაში არ მოუვიდა ბოლგარიის მეფის მისვლა პეტერბურგში. ავსტრიელი დიპლომატები შიშობენ, ვაი თუ ამ ვიზიტმა წააქეზოს ბოლგარია და ბალკანეთის სხვა სახელმწიფოები, წრეს გადასული იმედები გაუღვიძოს მათ და უსიამოვნება გამოიწვიოს ოსმალეთისა და ამ სახელმწიფოებს შორისო. ავსტრიელი დიპლომატები იმასაც კი ამბობენ, რომ ბოლგარიის მეფის ვიზიტი შეუსაბამო და შეუწყნარებელ საქმედ უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ ჟამად ავსტრიასა და რუსეთს შორის მოლაპარაკებაა გამართული ბალკანეთის სახელმწიფოთა შესახებო.

იგივე გერმანული გაზეთი ირწმუნება, რომ ავსტრიელი დიპლომატები ორპირობას აბრალებენ რუსის დიპლომატიასო.

ვენური გაზ. „ცაიტ"-ი გულახდით აღნიშნავს, რომ მოლაპარაკება ავსტრიისა და რუსეთის დაახლოვებაზე გართულდაო: ამ ჟამად ავსტრია და გერმანია მკაცრად ეწინააღმდეგებიან რუსეთის მთავრობასაო.

**რუსეთის პოლიტიკა ბალკანეთში.**

პეტერბურგის დიპლომატთა წრეებში ბეჯითად ლაპარაკობენ, რომ რუსეთი უკანასკნელ დღეებში ახალ პოლიტიკას დაადგა ბალკანეთის საქმეებშიო. რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი ძლიერ ეცადა, რომ მოლაპარაკება ავსტრიასთ ნ რუსეთის სასარგებლოდ დამთავრებულიყო, მაგრამ ვერას გახდა, რადგან ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბარონ ერენტალმა დიდი სიკერპე გამოიჩინა და თითქმის არაფერი არ დაუთმო იზვოლსკის. ამიტომ იზვოლსკიმ, თუმცა ავსტრიასთან მოლაპარაკება არ შესწყვიტა, მაინც გადასწყვიტა ეხლანდელი მარჯვე წამი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, თავისი დიდი ხნის გეგმა—ბალკანეთის სახელმწიფოთა ფედერაცია განეხორციელებინა და ამით ავსტრია დათმობაზე დაეყოლებინა. იზვოლსკიმ ბალკანეთის სახელმწიფოთა მეთაურები პეტერბურგში მიიწვია; ისინი დიდის ხალისით დასთანხმდნენ ამ მიწვევას, თანაც დიდი თანაგრძნობით მიეგებნენ ბალკანეთის ფედერაციის იდეას, ამიტომ იზვოლსკი ფიქრობდა, რომ ბალკანეთის ფედერაციის განსახორციელებლად მარჯვე წამი იყო შერჩეული.

სწორედ იმ დროს, როდესაც მეფე ფერდინანდი პეტერბურგს იმყოფებოდა, ბოლგარია-ოსმალეთის საზღვარზე ზედიზედ მოხდა სისხლის ღვრა; ბოლგარიის მინისტრმა პეტერბურგში მეტის-მეტი შოვინიზმი გამოიჩინა რუსის ჟურნალისტებთან საუბრის დროს. ყველა ამან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალეთის დიპლომატთა წრეებზე და ოსმალეთის მთავრობამ ამაზე განმარტებაც მოსთხოვა ბოლგარიის მთავრობას.

ზედატანებაზე რუსულ პრესაში ცნობა დაიბეჭდა, რომ რუსეთმა ბოლგარიას რამდენიმე სამხედრო გემი აჩუქაო. ამ ცნობამაც ძლიერ ააღელვა ოსმალეთის საზოგადოება: რუსეთი ბოლგარიას ეხმარება სწორედ იმ დროს, როცა ოსმალეთსა და ბოლგარიას შორის განწყობილება ძალზე გამწვავდაო. თუმცა ეს ცნობა უარჰყო „პეტ. ღეპ. სააგენტომ", მით მაინც ცუდი შთაბეჭდილება დარჩა.

ბოლგარიასა და ოსმალეთს შორის ურთიერთობა იმდენად გამწვავებულია ამ ჟამად, რომ დიპლომატები ომს მოელიან, და რასაკვირველია ასეთი ვითარება ხელს შეუშლის ბალკანეთის ფედერაციის განხორციელებას. ხმა დადის, იზვოლსკის გადაწყვეტილი აქვს, თუ ბალკანეთის ფედერაციის განხორციელებას ვერ მოახერხებს,—თავისი თანამდებობა მიატოვოს და სადმე ევროპაში რუსეთის ელჩის თანამდებობა მიიღოს.

## კიდევ ორიოდე სიტყვა მელიტონ ჩოჩოვაძეზე

განსვენებული ჩოჩოვაძე ისეთი უთვალავ ღირსებით შემკული კაცი იყო, რომ მაზე წერა და ლაპარაკი არასოდეს არავისთვის მოსაბეზრებელი არ იქნება. მაგრამ სავალალო ის არის, რომ კაცის ღირსება და თავგანწირული ნაყოფიერი შრომა ჯეროვანად არა ფასდება იმათგან, ვისგანაც ყველაზე უწინარეს უნდა ფასდებოდეს. ეს საზოგადო სენია ქართველებისა. სიცოცხლეში განსვენებულს ბევრი ვერც კი იცნობდა, რადგან იგი წყნარი მოღვაწე ადამიანი იყო, მისდამი ხალხის სიყვარულმა და პატივისცემამ შვიდ თებერვალს იფეთქა გასვენების და დაკრძალვის დღეს. ამისთანა დიდებული გასვენება ქუთაისში იშვიათია. თვითონ განსვენებული არ იქნებოდა კმაყოფილი ამ გვარ პატივისცემისა: იგი სიცოცხლეში წინააღმდეგი იყო გვირგვინების და სიტყვებისა, მაგრამ საზოგადოებამ თავისი ვალი, ყველგან შემოღებული, პირნათლად შეასრულა. მხოლოდ დაგვრჩენია უფრო დიდი მოვალეობა, რომლის განხორციელებას უკვე შევუდექით და რაზედაც მე უკვე მოუწოდე „ფონის" მეშვიდე ნომერში იმის ამხანაგებს.

ყველას დიდი იმედი გვქონდა, რომ იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა უკანასკნელი კრება დააგვირგვინებდა რითმე მის მიერ არჩეულ საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორის ხსოვნას, მაგრამ სამღვდელოებას არც კი გახსენებია და როდესაც განსვენებულის გულ-დამწვარმა დედამ სთხოვა კრებას ნივთიერი დახმარება, კრებამ თხოვნა უყურადღებოდ დასტოვა. ასე მოექცა სამღვდელოება იმ ადამიანის ხსოვნას, რომელმაც თავისი ძალა და ღონე შესწირა სასწავლებელს, რომლის თავზედაც გადიარა რევოლიუციის ქარიშხალმა და სამღვდელოებას-კი უვნებლად დაუტოვა სასწავლებელი? შეიძლება სამღვდელოებამ თავი იმართლოს სიღარიბით, მაგრამ ეს მცირე მიზეზია. ნუ თუ ხუთას ეკლესიის შტატის მღვდლებისთვის ეს ძნელი იყო? უეჭველად დაწესებულებაში უბრალო მოხელის სიკვდილის შემდეგ ჭირისუფალთ ნივთიერ დახმარებას აძლევენ, სამღვდელოებამ-კი თავის მხნე, თავგანწირულ და ნიჭიერ მუშაკისათვის არაფერი არ გაიმეტა.

იქნება ეხლა მაინც გამოჩნდნენ სამღვდელოების წრეში ისეთნი, რომელნიც შემოუერთდებიან ჩვენს მოწოდებას და ნივთიერ დახმარებას აღმოუჩენენ თვითურად განსვენებულ მელიტონის ძმას, სტუდენტს, მოკლებულს სასსარს სწავლის გაგრძელებისთვის *). ბევრი ჰკლდოვობდა მელიტონის დაკარგვას და ეხლა ვნახავთ, რამდენად გულწრფელი იყო მათი გლოვა. იმედია, ჩვენი ქართველი მღვდელმთავარნი გიორგი, ლეონიდი და დავითი, რომელნიც ძლიერ დაახლოვებით იცნობდნენ მელიტონის ვინაობას და მის მოღვაწეობას, დოცვა-კურთხევას უძღვნიან ამ ჩვენს ინიციატივას, რომ უფრო მეტი მსურველი აღმოჩნდეს თავის წვლილის შეტანით განათლების სალაროში.

**დეკანოზი ერმალოზ კანდელაკი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, გაზეთ „დროების"-ს საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო პატიმარ მასწავლებელთ მეტეხის ციხისას გიორგი ნაცვლიშვილს და პარმენ გელაშვილს, პირველს—საეკლესიო გალობის უსასყიდლო სწავლებისათვის ჩემდამო რწმუნებულ მეტეხის ციხის სკოლის ტუსაღთა შეგირდთადმი და ხოროს შედგენისათვის ქართულ გალობისა კარბელაშვილის კილოზე, მეორეს—რუსული ენის და ანგარიშის სწავლებისათვის ზემოხსენებულ სკოლაში.

მეტეხის ციხის სკოლის გამგე **მიხეილ დევიძე.**

—

ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, მიაქციოს ყურადღება ჩვენ შემდეგ თხოვნას. არხანგელის გუბ. ქალაქ ხოლმოგორის პოლიტ. გადმოს. ქართველნი დიდ გაჭირვებას განვიცდით სულიერად: არ მოგვეპოვება არც ერთი ქართული წიგნი და ვართ ესე უნუგეშოდ დატოვებულნი. ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას, მიქციოს ყურადღება ჩვენს თხოვნას და რაიმე წვლილი გაიღოს.

ივანე ქორფაშვილი, დარჩო კიკოიანცი, მარიამ ქორფაშვილისა, მარტია ლოლაძე, არაგველიძე, დიმიტრი ქოჩლაძე, იოსებ ლეკიშვილი, გიო ლაზარიაშვილი, შიო ქარჩაიძე, ანა ქარჩაიძე.

ჩვენი ადრესი: Архангельская губ., гор. Холмогоры, Ссыльному Ивану Корпашвили.

—

პატივცემულ რედაქციას ვსთხოვთ უმახლოვბელეს ნომერში დაგვიბეჭდოს შემდეგი ანგარიში.

14 თებერვალს დ. ბორჯომში, მჟავე წყლის თეატრში, დრამატიულ ხელოვნების მოყვარულთა მიერ წარმოდგენილ იქნა „ქართველი დედა", ისტორიული დრამა აქვს. ცაგარლისა. ბილეთების ფასი იყო: 10 კაპ.—50 კაპ. შემოვიდა: ბილეთების გაყიდვით 63 მან. 60 კაპ.; დაიხარჯა: აფიშებში—2 მან. 90 კაპ., მარკებში ბილეთებისათვის—5 მან. 9 კაპ., მარკებში ნებართვისა და წერილებისათვის—93 კაპ., გზის ფასი ნებართვისა და აფიშების ამოსატანად და ტანისამოსის საშოვნელად 4 მან. 35 კაპ., სცენაზე მოთამაშე ქალთა მისვლა მოსვლა მატარებელით—4 მან., პარიკმახერს—6 მან., მოსამსახურებს, დურგლებს, მუშებს და ლურსმანი—6 მან. 82 კაპ., წვრილმანი ხარჯი სცენისათვის—7 მან. 51 კაპ., გადაეცა დანიშნულებისამებრ დ. ბორჯომში სამრევლო სასწავლებლის მოწაფეთა სასარგებლოდ—26 მან.

წარმოდგენის გამმართველი

**ვლ. ყიფიანი.**

*) ჩემს გარდა, ექვსმა პირმა უკვე განაცხადა სურვილი წევრობისა, რაც გამოცხადებული იყო გაზეთ „ფონის" მერვე ნომერში. როგორც გავიგე, ეპარ. სასწავლებლის მთელმა პედაგოგიურმა საბჭომ სრული თანხმობა განაცხადა. სხვა მსურველებიც ბევრნი არიან რომელთა გვარი და სახელი გამოცხადებული იქნება,


## განცხადებანი

### იყიდება

მელავათიანის პირობებით მიწის ნაჭრები დიდუბეში, დიდუბის, შერემეტევის, ფოთისა და ანდრეევის ქუჩებზე და რკ. გზ. ლიანდაგს იქით, ავჭალის ქუჩაზე, აგრეთვე მე-9 ნაწილში, ლიანდაგის ორივე მხარეს, სომეხ. ნერსესიან სემინარიის ახალ შენობის გვერდით. იკითხეთ სახლის პატრონთან—მიხეილის პრს., N 91. (3—1039—1)

### ეფრემვერდი
(სურათებით)

იბეჭდება და მალე გამოვა. ვისაც სურს, შეუძლიან მიმართოს მიხეილ ზარიძეს, ანჩისხატის ქუჩა, № 17. თითო წიგნი ეღირება 1 მ. 50 კ. ვინც ამ თავით გამოიწერს, დაეთმობა 1 მან. (3—156—2)

ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში

### იყიდება

| | | |
|---|---|---|
| 1. | ი. ჭავჭავაძე. კრიტიკული წერილები | 25 კ. |
| 2. | ი. ჭ ავჭავაძე. პოლემიკური წერილები | 10 „ |
| 3 | ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი | 25 „ |
| 4. | ი. ჭავჭავაძე. აი ისტორია | 35 „ |
| 5. | აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული | 40 „ |
| 6. | აკაკი. თორნიკე ერისთავი | 35 „ |
| 7. | აკაკი. კრილოვის იგავ არაკები, სურათებით | 50 „ |
| 8. | აკაკი. ქუთათლის სიზმარი | 5 „ |
| 9. | აკაკი. ნაცარქექია | 10 „ |
| 10. | აკაკი. გოგია მეჩანგურე | 5 „ |
| 11. | ნ. ბარათაშვილი. ლექსები | 5 „ |
| 12. | ე. ნინოშვილი. გოგია უიშვილი | 5 „ |
| 13. | ე. ნინოშვილი. პ ლიასტომის ტბა | 5 „ |
| 14. | ა. ყაზბეგი. ელისო | 10 „ |
| 15. | ვაჟა-ფშაველა. ცრემლები, ლექსები | 50 „ |
| 16. | კარიჭაშვილი დ. საქართველოს მოკლე ისტორი. ნ. ს. | 40 „ |
| 17. | ნ. მარრი история грузии | 25 „ |
| 18. | ი. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლება | 15 „ |
| 19. | ი. ჯავახიშვილი. საქარ. ეკონომიური ისტორია | 40 „ |
| 20. | ი. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია | 60 „ |

და სხვა ყოველ გვარი ქართული წიგნი.

◀ ქუთაისში ქირავდება ▶

### სიცოცხლის წყაროს

რესტორანის ბინა ბაღით. ქარვასლის ქუჩის ბოლოში თეთრ ხიდთან. გაქირავების პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება სახლის პატრონთან ეზოში, ანუ მის რწმუნებულ ივანე ბარქაიასთან მაღაზიაში. (10—კვ.—7)

ტარუმოვის სტამბასთან

ტფილისში, ბარონსკისა და დიდი ვანქის ქუჩების კუთხეში,

### გავხსენით ქაღალდ-ტოპრაკების ქარხანა

ამ ფირმით:

—◀● ამხანაგობა „ზვეზდა", ●▶—

სადაც ვაზადებთ სხვა და სხვა ზომის ტოპრაკებს, როგორც უბრალოებს, ისე ნაკეციანს გარმონის მსგავს, შემკვეთელ ფირმის ბეჭდით ან უბეჭდოთ. მზადდება ელექტრონის მანქანით, რომელიც საზღვარ-გარეთიდან მივიღეთ.

შეკვეთილ საქმეს ვაკეთებთ ხელმისაწვდენ ფასად, სწრაფად, კარგად და სინიდისიერად. ტფილისს გარედ მცხოვრებთ ტოპრაკები გაეგზავნებათ ფასს-დადებით ბეს მიღების შემდეგ.

აქვე მიიღება ყოველგვარი სასტამბო საქმე.

ადრესი წერილებისთვის: Тифлисъ, фабрика бумажныхъ мѣшковъ, Т-во „Звѣзда".

ტელეგრამებისთვის: Фабрика „Звѣзда".

(6—147—4) პატივისცემით ამ—ბა „ზვეზდა".

### 200 მანეთს საჩუქრად ვაძლევთ 200

იმას, ვინც დაამტკიცებს, რომ ქვემოდ დასახელებული ნივთები არ შეეფერება ჩვენ მიერ დადებულ ფასებს





**მხოლოდ 3 მ. 95 კ. ნაცვლად 12 მან.**

უგზავნით 12 უსაჭიროეს, ფასიან ნივთებს:

1) საათი შავი ფოლადისა, ანკერის ქვებზე, მომართვა უგასაღებოდ 36 საათში ერთხელ; პიროზასა ვდებთ, რომ 6 წელიწადს არ დადგება; 2) კოსტა მოდის მეწკვი; 3) ასეთივე ბრელოკი; 4) ზამშის ბუდე საათის შესანახად; 5) ტყავის პორტმანი 7 განყოფილებით; 6) კაუჩუკის შტემპელი შემკვეთელის სახელით, მამის სახელით და გვარით; 7) შუშა წამალი შტემპელისთვის; 8) სასარგებლო ნივთი: ამერიკული უშიშარი სამართებელი „მულკუტა" რომლითაც ყველას ადვილად შეუძლიანთ წვერის პარსვა; 9) ნიკელის წასასმელი ფერებისა: 10) ნიკელის ფინჯანი; 11) ამერიკული სტერეოსკოპი, რომელშიაც კაცი ყოველგვარ სურათს დაინახავს; 12) 25 ღრმაგი ფოტოგრაფიული სურათი. ყველა ეს ნივთები მსურველს 3 მ. 95 კ. გაეგზავნება. თუ უხმო დახურული საათიც იქნება—1 მანეთით უფრო ძვირია.

ადრესი: Складъ часовъ Т—во Универсаль", Варшава, Холодная, 22.
(Метцль и К. N 11939) (3—6.—2)

—◀ სავაჭრო სახლი ▶—

### „ძმ. სესიევები და ამხ."

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ჟამად მან გამოუშო გასასყიდად უმაღლესად დაწმენდილი, ფილტრაციის საშუალებით, ახლად შეკეთებულ და გაუმჯობესებულ აპპარატებით, რომელთაც

### პურის არაყი

დაჯილდოვებულია 1909 წლის პარიზის გამოფენაზე **უმაღლესის საჩუქრებით**

● ფირმა განსაკუთრებით ურჩევს მუშტარს: ●

პურის არაყი № 101.

პურის არაყი № 50.

ლვინის და

კახური არაყი, რომელიც არ დაუარდება კანიაკს.

### მოითხოვეთ ყველგან.

(10—გ.—6)

### სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლო-უგურული" ქუთაისში.

● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—27)

### პროვოდნიკის



1897 წ.







1888

1908 წ.

### ამხანაგობა
### რიგაში

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● იყიდება ნარდად და ცალობით: ●

რეზინის საეკიპაჟო შინები,

პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი" (წითელი),

პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,

მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.

„პროვოდნიკი"-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.